სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2022 წლის 13 მაისი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №43/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი შარვაშიძე)
2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №44/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: მანანა ლობჟანიძე)
3. "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 აპრილის №30/2022 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გია მამულაშვილი)
4. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული ბიბლიოთეკის კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნულოვან სართულზე, გარე ჰოლის ნაწილის (2522 კვ.მეტრი ფართი), მულტიფუნქციური სივრცის (მცენარეების ლაბორატორია / ორანჟერეა / სამკითხველო ლიტერატურული კაფე / წიგნების მაღაზია და სხვა) მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გაცემის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)
5. სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე 2631 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული

შენობა-ნაგებობების (N1; N2 საერთო ფართით 46.9კვ.მ და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვ.მ) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.095) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი სარეკრეაციო სივრცის (სკვერის) მოწყობის მიზნით (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, გიორგი შამათავა, ნინო პავლიაშვილი)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **40** წევრმა:

1.მანანა რუსიეშვილი 2. ლალი ახალბედაშვილი 3. მარინე ხუციშვილი 4. თამარ პაიჭაძე 5. მიხეილ რუხაია 6. ელენე ბებერაშვილი 7. გიორგი გოგსაძე 8. ნინო აბესაძე 9. ადა ნემსაძე 10. ილია თავხელიძე 11. თინა ქიტუაშვილი 12. ნათელა არჩვაძე 13. მარინა გარიშვილი 14. ელისაბედ ბუალავა 15. თემურ ცქიტიშვილი 16. ირინე ჟვანია 17. ნოდარ ლომიძე 18. ნაზირა კაკულია 19. ეკა ვარდოშვილი 20. ლია მაჭავარიანი 21. აპოლონ თაბუაშვილი 22. კახაბერ ლორია 23. სოფიო ხუციშვილი 24. გიორგი თუმანიშვილი 25. დინა ხუციშვილი 26. ვლადიმერ მარგველაშვილი 27. ნინო ჭალაგანიძე 28. ციური სუმბაძე 29. თამილა ჩალაძე 30. ეთერ კაკულია 31. მიხეილ ბახტაძე 32. გვანცა გვანცელაძე 33. გიორგი ჯაფოშვილი 34. სიმონ ჩხაიძე 35. მაია ივანიძე 36. მარიამ თვალაძე 37. დაჩი ჩიტაია 38. მანანა ნიკოლაიშვილი 39. ნოდარ ხოდელი 40. ლუკა ონიანი (დანართი 1)

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის მე-2 საკითხთან („სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №44/2022 დადგენილების დამტკიცება) დაკავშირებით წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი გოგსაძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილი საკითხების დამტკიცებას, თუმცა მიაჩნია, რომ თსუ-ში დასარეგულირებელია ხელფასების ოდენობის საკითხი ფაკულტეტების მიხედვით. მისი აზრით, მიდგომა ძალზე უსამართლოა. სასურველია, რომ ეს საკითხი სხვა დროს ცალკე იქნეს განხილული.

დისტანციური სხდომის დღის წერიგის მე-4 საკითხთან (ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული ბიბლიოთეკის კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნულოვან სართულზე, გარე ჰოლის ნაწილის (2522 კვ.მეტრი ფართი), მულტიფუნქციური სივრცის (მცენარეების ლაბორატორია / ორანჟერეა / სამკითხველო ლიტერატურული კაფე / წიგნების მაღაზია და სხვა) მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გაცემის საკითხი) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ლალი ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია განლაგდეს მცენარეების ლაბორატორია, ორანჟერეა, სამკითხველო ლიტერატურული კაფე, წიგნების მაღაზია, მაგრამ

სასურველია, ტექსტიდან ამოღებულ იქნეს „...და სხვა“, ვინაიდან მომავალში ეს იძლევა საშუალებას ამ ტერიტორიაზე განთავსდეს უნივერსიტეტისათვის მიუღებელი ობიექტიც. ამიტომ ამ ეტაპზე საკითხის მხარდაჭერისაგან თავი შეიკავა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა მიხეილ რუხაიამ დასვა შეკითხვები: თუ არის შეფასებული დაახლოებით რა თანხებთანაა დაკავშირებული აღნიშნული ფართის გარემონტება და რა იქნება იჯარის საფასური? ამასთან დაინტერესდა, ხომ არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ არ ეყოს იჯარის ფასი გარემონტებას და აქედან გამომდინარე, ხომ არ დადგება უნივერსიტეტის მხრიდან თანხის დამატების საჭირობა? როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, იჯარის ფასი ჯერ დადგენილი არაა, აღნიშნულის დადგენა ხდება თანხმობების მიღების შემდგომ. თსუ-ს მხრიდან მისაცემ თანხას რაც შეეხება, მომხსენებლის აზრით ეს გამორიცხულია, პირობა ისე გაიწერება, რომ ეს ფიზიკურად არ იქნება შესაძლებელი.

დისტანციური დღის წესრიგის მე-5 საკითხთან (სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე 2631 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1; N2 საერთო ფართით 46.9 კვ.მ და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვ.მ) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.095) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი სარეკრეაციო სივრცის (სკვერის) მოწყობის მიზნით) დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა დიდმა ნაწილმა უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს და ძირითადად იმ მოტივით, რომ თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის წერილის მიხედვით, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას უკვე აქვს წარმოდგენილი რეკრეაციული ზონის მოწყობის კონცეფცია, ამასთან არსებობს შესაბამისი პროექტიც, რომელშიც თანხა უკვე დახარჯულია, მიზანშეწონილია ქალაქის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, თანადაფინანსებით განხორციელდეს აღნიშნული პროექტი ან სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის თანხმობა იყოს წარმოდგენილი საკითხის გადასაწყვეტად.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1.დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №43/2022 დადგენილება და ირმა გრძელიძე დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. (დანართი #3)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

2. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №44/2022 დადგენილება (დანართი 4)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 აპრილის №30/2022 დადგენილება (დანართი 5)

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

4. გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული ბიბლიოთეკის კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნულოვან სართულზე, გარე ჰოლის ნაწილის (2522 კვ.მეტრი ფართი), მულტიფუნქციური სივრცის (მცენარეების ლაბორატორია / ორანჟერეა / სამკითხველო ლიტერატურული კაფე / წიგნების მაღაზია და სხვა) მოწყობის მიზნით იჯარის ფორმით გაცემაზე წარმოდგენილი პირობებით (დანართი 6)

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 1

5. არ გაიცეს თანხმობა, სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე 2631 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1; N2 საერთო ფართით 46.9 კვ.მ და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვ.მ) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.095) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემაზე, სარეკრეაციო სივრცის (სკვერის) მოწყობის მიზნით, წარმოდგენილი მასალებისა და თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის წერილის გათვალისწინებით.

მოწონებული იქნეს, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის შემოთავაზებული წინადადება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მიმართვასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი პროექტის თანადათვინანსებასთან დაკავშირებით. (დანართი 7)

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 33

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2022 წლის 13 მაისის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #3, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

სტუდენტები:

ჯაფოშვილი გიორგი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

ჩხაიძე სიმონი -

სტუდენტები:

ონიანი ლუკა -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ჩიტაია დაჩი -

ბებერაშვილი ელენე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ბუალავა ელისაბედი -

რუსიეშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ბახტაძე მიხეილი -

სტუდენტები:

ხუციშვილი დინა -

თვალაძე მარიამი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფ. ინსტიტუტი

ჩალაძე თამილა -

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (13.05.2022 წ. #3)

1. შარვაშიძე გიორგი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. გაგნიძე ნონა
6. ზაუტაშვილი მარინე
7. იმნაძე პაატა
8. ლობჟანიძე გია
9. ლომიძე გაგა
10. სანაძე რუსუდან
11. ფერაძე გოჩა
12. ქურდაძე რამაზ
13. ღვედაშვილი გიორგი
14. ღონღაძე ალექსანდრე
15. ყარალაშვილი თამაზ
16. შავლაყაძე ნუგზარ
17. შალიკაშვილი მორის
18. შანიძე რევაზ
19. შენგელია თემურ
20. ჩიტაშვილი მარინე
21. წერეთელი მარი
22. წერეთელი მზია
23. ხარაიშვილი ეთერ
24. ხაჩიძე მანანა

25. ხუსკივაძე მამუკა
26. ხუციშვილი ქეთევან

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 43/2022 10 მაისი 2022 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №7 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შერჩეულ იქნეს **ირმა გრძელიძის** კანდიდატურა.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 10711/10
11/05/2022

10711-10-3-202205111715

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №43/2022 დადგენილებას.

დანართი: 1 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელობის კანდიდატის

ირმა გრძელიძის

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი ხედვა გულისხმობს უნივერსიტეტის მხარდაჭერას იმ პრინციპებითა და ღირებულებებით საქმიანობისას, რაც გაცხადებულია უნივერსიტეტის მისიაში და გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, კვლევებისა და ინოვაციების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას, საზოგადოების განვითარებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი აღნიშნული პროცესების ხელშეწყობა, ხარისხის კულტურის დამკვიდრება და პოზიტიური ცვლილებების ინიცირებაა.

2018-2022 წლები უმაღლესი განათლების სივრცეში უპრეცედენტო გამოწვევების პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე: პანდემია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები; ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ შემუშავებული ხედვა 2030 წლისთვის - „უნივერსიტეტები კედლების გარეშე" ("Universities without walls"[1]), სწავლა-სწავლებასა და კვლევასთან, ინოვაციებთან, ინტერნაციონალიზაციასა და მესამე მისიასთან დაკავშირებით; ხარისხის უზრუნველყოფის გარე სტანდარტების და მექანიზმების ცვლილებები ეროვნულ დონეზე. ზემოადნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ბოლო 4 წლის საქმიანობა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და ახალ გამოწვევებზე სწრაფი რეაგირების მაგალითებით. სამსახურის ინიციატივითა თუ კოორდინირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) განხორციელდა მთელი რიგი პროცესები, მათ შორის[2]:

- 2018 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით;
- 2019 წელს სამსახურის აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტი გაიზარდა 4910 ადგილით;

[1] https://eua.eu/resources/publications/957:universities-without-walls-%E2%80%93-eua%E2%80%99s-vision-for-europe%E2%80%99s-universities-in-2030.html

[2] ინფორმაცია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018-2022 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია სამსახურის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშებში ვებ-გვერდზე: https://tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

- 2019 წელს სამსახურის ინიციატივითა და რექტორთა მუდმივმოქმედი საბჭოს ეგიდით შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი, რომელმაც 44 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გააერთიანა საქართველოს მასშტაბით;
- 2019 წელს სამსახურის აქტიური ჩართულობით შეიცვალა უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების სისტემა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - თსუ პროფესიული განათლების ცენტრი;
- 2020 წელს მსოფლიოში მიმდინარე კოვიდპანდემიის პირობებში უნივერსიტეტმა შეძლო წარმატებით გაერთვა თავი ახალი გამოწვევებისათვის და ფუნქციონირება შეუფერხებლად გაეგრძელებინა. სამსახურის ინიციატივით, თითოეულ ფაკულტეტზე მომზადდა ელექტრონული სწავლების კონცეფცია, აკადემიური პერსონალი გადამზადდა ელექტრონული სწავლებისთვის საჭირო ონლაინ პლატფორმების გამოყენებაში, ჩატარდა არაერთი ტრენინგი საერთაშორისო კოლეგების მიერ მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით და შემუშავდა შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები და გზამკვლევები პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის;
- 2021 წელს უნივერსიტეტმა წარადგინა 2018 წელს ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ 3 წლიანი თვითშეფასების ანგარიში, რომლის შეფასებისას ექსპერტებმა ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად აღიარეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძლიერ მმართველობით ორგანოდ არსებობა უნივერსიტეტში;
- 2020-2021 წლებში სამსახურის მონაწილეობით უნივერსიტეტმა მოიპოვა ABET და FIBAA სააგენტოების საერთაშორისო აკრედიტაცია 5 საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
- 2018-2022 წლებში აკრედიტაცია გაიარა უნივერსიტეტის 162 საგანმანთლებლო პროგრამამ;
- 2021 წელს უნივერსიტეტი ჩაერთო ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამაში, რაც რეგიონში უპრეცედენტო შემთხვევაა. ევროპელი ექსპერტები 2022 წლის დასაწყისში გაესაუბრნენ მათთვის საინტერესო ფოკუს-ჯგუფებს, ივნისის თვეში კი სამუშაო ვიზიტით ესტუმრებიან უნივერსიტეტს როგორც ინფრასტრუქტურისა და სხვა მატერიალური რესურსების შესაფასებლად, ასევე თსუ საზოგადოების სხვა წევრებთან შესახვედრად.
- 2019-2022 წლებში სამსახურის მონაწილეობით უნივერსიტეტი კონკურსის საფუძველზე რამდენჯერმე გახდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის თემატური სამუშაო ჯგუფის, ფოკუს-ჯგუფისა და მრგვალი მაგიდის წევრი;
- 2020 წელს სამსახურის კოორდინირებით უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გახდა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის „მესამე მისიის აქტივობების ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერება ქართულ უნივერსიტეტებში“ კოორდინატორი;
- სამსახური ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რაც გამოიხატება ინტენსიური კონტაქტით, რეგულარული გამოკითხვებით, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებითა და სტაჟირების პროგრამით;

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სამსახურმა შეიმუშავა პროცედურა, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობას; ასევე, შესაბამისი კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზითა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით - პროგრამის განვითარების პროცესის უწყვეტობას;
- სამსახურის ვებ-გვერდი გადამუშავდა უნივერსიტეტის განახლებული დიზაინის შესაბამისად და გახდა უფრო ინფორმაციული, სრულად ორენოვანი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მაისის შემდეგ სამსახურის ვებ-გვერდს ეწვია 7000-მდე ვიზიტორი მსოფლიოს 71 ქვეყნიდან.

მიღწეული შედეგების მიუხედავად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, მათ შორის პანდემიის, ომის ფაქტორებმაც გამოიწვია: ღიაობა, ტრანსფორმაციულობა და ტრანსნაციონალიზაცია, სტუდენტზე ორიენტირებულობა, ინტერნაციონალიზაცია, დიგიტალიზაცია, გარემოზე ზრუნვა, ინკლუზია, მდგრადობა, მრავალფეროვნება, ინტერდისციპლინურობა, ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება, აკადემიური თავისუფლება იქცა თანამედროვე მსოფლიოს მთავარ პრიორიტეტებად. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ ფუნქციად აღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა გახდა. დღეს უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების იმგვარი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ეფექტიანობის მაჩვენებლის ზრდას ინდივიდუალურ, საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის/ინსტიტუტის, უნივერსიტეტის დონეებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მოკლევადიანი ამოცანებია (2022 წლის ბოლომდე):

ამოცანა	შედეგი
ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების დასრულება (EUA IEP)	საერთაშორისო შეფასება, რომელიც გამოკვეთს ინსტიტუციის ძლიერ მხარეებს და მოგვცემს რეკომენდაციებს სამომავლო განვითარებისთვის და კიდევ უფრო გაზრდის უნივერსიტეტის ცნობადობას და რეპუტაციას საერთაშორისო დონეზე.
კლასტერული აკრედიტაციის პროცესის დასრულება ჰუმანიტარული პროფილის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის	55 აკრედიტებული პროგრამა (8 კლასტერი)
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესის დასრულება	10 აკრედიტებული და კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საგანმანათლებლო პროგრამა
ახალი საგანმანათლებლო პროგრამების(მათ შორის ორმაგი და	• ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის

ერთობლივი) შექმნა და აკრედიტება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში	საჯარო მართვა“ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა); • ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამა „ევროპისმცოდნეობა“ (თსუ და EPLO (ევროპული საჯარო სამართლის ორგანიზაცია)); • ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები „ელექტრული ინჟინერია“ და „კომპიუტერული მეცნიერებები (თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი); • ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსები“ (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა და ლიმერიკის უნივერსიტეტი); • ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ბრაგანცის საერთაშორისო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი); • ერთობლივი პროგრამა „არქეოლოგია“ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ELTE (Eötvös Loránd University of Budapest)); • სადოქტორო პროგრამა „პროფესიული განათლება“ (თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი და ოტო ვან გერიკეს სახელობის მაგდებურგის უნივერსიტეტი); • სამაგისტრო პროგრამა „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების მართვა“ (თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი და ოტო ვან გერიკეს სახელობის მაგდებურგის უნივერსიტეტი).
საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია	• „ესპანური ფილოლოგია“ (ANECA); • „ევროპისმცოდნეობა“ (FIBAA); • სადოქტორო პროგრამა „ტრანსლიაციური და კლინიკური მედიცინა“ (ORPHEUS - The Organisation for PhD Education in Biomedicine and Health Sciences).

სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა	5000-მდე ადგილით გაზრდილი სტუდენტთა კონტიგენტი
საერთაშორისო პროექტების დასრულება	• LOTUS; • EUA Thematic Working Peer Groups (Needs and Wellbeing of Students and Staff).
უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით	ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მომზადებული საპროექტო განაცხადი პროფესიულ განათლებაში ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების შესახებ (თსუ პროფესიული განათლების ცენტრი; ესტონეთის იდა-ვირუმაას კოლეჯი და ფინეთის რივერიის კოლეჯი).

გრძელვადიან პერსპექტივაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორიენტირებული იქნება შიდა პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე, რაც ავტომატურად უპასუხებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის გამოწვევებს და აქცენტს გააკეთებს ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით. სწავლა-სწავლების, კვლევის, მესამე მისიისა და ინსტიტუციური პროცესების ხარისხის უზრუნველყოფისას სტუდენტზე ორიენტირებულობა, დიგიტალიზაცია/გარემოზე ზრუნვა, ინკლუზიურობა და ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ძირითად პრიორიტეტებს. ყოველივე ამის პარალელურად სამსახური იზრუნებს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერებაზე, რაც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მექანიმის გამართული, ეფექტური და ეფექტიანი მოქმედებისთვის.

სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

- <u>სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერა</u> - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემების შესაბამისი ადაპტაციით; ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მხარდაჭერა;
- <u>საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მხარდაჭერა</u> - საგანმანათლებლო პროგრამების მჭიდრო კავშირი ინდუსტრიასთან, შრომის ბაზარსა და საზოგადოებასთან;
- <u>საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მხარდაჭერა</u> - სტუდენტების ჩართულობის მხარდაჭერა კვლევით პროექტებში; სამეცნიერო პერსონალის მეტად ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამებში; თანამედროვე კვლევის მეთოდების სწავლების წახალისება ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში;

- „ინტერნაციონალიზაცია შინ“ მხარდაჭერა - უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა; ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოენოვანი კომპონენტების ინტეგრაცია; უცხოენოვანი ლიტერატურის მეტად ინტეგრაცია ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში; სწავლების პროცესში უცხოელი პროფესორების ჩართულობის წახალისება; თანახელმძღვანელობის წახალისება; ერთობლივი ორმაგი და დუალური პროგრამების წახალისება; საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვება კონკრეტული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;
- სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება; უწყვეტობის უზრუნველყოფა; კურსის წარმომადგენელთა სისტემის დახვეწა და გავრცელება (ბრიტანული გამოცდილების გაზიარება - SPARQS); შიდა(კოლეგიალური) შეფასების მექანიზმების იმგვარად ამოქმედება, რომ 4 წლის შემდეგ სამსახურმა თავად შეძლოს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა აკრედიტაცია (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მოდელი).

კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა

- შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტუქტურის შეფასება;
- შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით კვლევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აქტივობების მხარდაჭერა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა - დოქტორანტებისთვის შეთავაზებული სერვისების გამრავალფეროვნება; მათი ტრანსფერული უნარების გაძლიერების ხელშეწყობა; კვლევის უნარ-ჩვევების და ინდუსტრიასთან/საზოგადოებასთან კავშირის გაძლიერების ხელშეწყობა; ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება; საერთაშორისო თანახელმძღვანელობისა და დოქტორანტების საერთაშორისო დარგობრივ დისკუსიებში/კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

მესამე მისიის აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა

- არსებული მდგომარეობის შეფასება და მესამე მისიის აქტივობების სტრატეგიული გეგმის შემუშავება პასუხისმგებელი პირებისა და ბიუჯეტის მითითებით; საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილების გაზიარება მესამე მისიის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით;
- მესამე მისიის პროექტების შესახებ ცნობადობის გაზრდა;

- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდიფიკაციის მხარდაჭერა მასში საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის კომპონენტის ინტეგრაციით;
- მესამე მისიის აქტივობების აღრიცხვისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;
- უწყვეტი განათლების, სოციალური ჩართულობისა და ცოდნის გადაცემის მიმართულებით ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაძლიერება.

ინსტიტუციური პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

- ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა, რაც გულისხმობს ზუსტი ინსტიტუციური მონაცემების რეგულარულ შეკრებას, ანალიზსა და პროგნოზირებას საუნივერსიტეტო პროცესებისა და პროდუქტების შეფასების მიზნით (აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფისთვის ტექნიკური დავალება, ისევე, როგორც მონაცემთა ჩამონათვალი, ინდიკატორთა და ქვეინდიკატორთა სია მომზადებულია);
- პროცესებისა და პროცედურების შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ეტაპობრივად მონაცემების მოგროვება/ანალიზს და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებას და თვითშეფასებაზე დაყრდნობით პროცესების ეფექტიანობის გაზომვას (ირლანდიის უნივერსიტეტების მაგალითი);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფციის ახლებური გააზრება დებულების შესაბამისი ცვლილებებით და ფუნქციების გამიჯვნით;
- გეგმიური თემატური კვლევების განხორციელება - სადოქტორო განათლების, პერსონალური განვითარების და სხვ. მიმართულებით (მასარიკის უნივერსიტეტის მაგალითი);
- პროცესების ინტერნაციონალიზაციისა და დიგიტალიზაციის მხარდაჭერა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მომდევნო წლების განმავლობაში კვლავ გააგრძელებს თანამშრომლობას საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან შიდასაუნივერსიტეტო სივრცეში ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით. ამასთან, სამსახური მჭიდროდ ითანამშრომლებს საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა რგოლთან (აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) რათა მოხდეს მათი აქტიური და რეგულარული ჩართულობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელობის კანდიდატის

ირმა გრძელიძის

სამოქმედო გეგმა

	2022	2023	2024	2025
ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების დასრულება (EUA IEP)	X			
კლასტერული აკრედიტაციის პროცესის დასრულება ჰუმანიტარული პროფილის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის	X			
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესის დასრულება	X			
ახალი საგანმანათლებლო პროგრამების(მათ შორის ორმაგი და ერთობლივი) შექმნა და აკრედიტება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში[1]	X			
საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია	X			
სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა	X			
საერთაშორისო პროექტების დასრულება (LOTUS, EUA TPG)	X			
უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით	X			
სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა	X			
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერა	X	X	X	X
საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მხარდაჭერა -	X	X	X	X
საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მხარდაჭერა	X	X	X	X
„ინტერნაციონალიზაცია შინ“ მხარდაჭერა	X	X	X	X

[1] პროგრამების დეტალური ჩამონათვალი იხილეთ კონცეფციის დოკუმენტში

სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით	X	X	X	X
კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა	X			
შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასება;	X	X	X	X
შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით კვლევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აქტივობების მხარდაჭერა;	X	X	X	X
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა - დოქტორანტებისთვის შეთავაზებული სერვისები გამრავალფეროვნება; მათი ტრანსფერული უნარების გაძლიერების ხელშეწყობა; კვლევის უნარ-ჩვევების და ინდუსტრიასთან/საზოგადოებასთან კავშირის გაძლიერების ხელშეწყობა; ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება; საერთაშორისო თანახელმძღვანელობისა და დოქტორანტების საერთაშორისო დარგობრივ დისკუსიებში/კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა.	X	X	X	X
მესამე მისიის აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა	X			
არსებული მდგომარეობის შეფასება და მესამე მისიის აქტივობების სტრატეგიული გეგმის შემუშავება პასუხისმგებელი პირებისა და ბიუჯეტის მითითებით; საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილების გაზიარება მესამე მისიის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით;	X			
მესამე მისიის პროექტების შესახებ ცნობადობის გაზრდა;	X	X	X	X
აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდიფიკაციის მხარდაჭერა მასში საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის კომპონენტის ინტეგრაციით;	X	X		
მესამე მისიის აქტივობების აღრიცხვისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;		X		

უწყვეტი განათლების, სოციალური ჩართულობისა და ცოდნის გადაცემის მიმართულებით ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაძლიერება.	X	X	X	X
ინსტიტუციური პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა	X			
ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და დანერგვა, რაც გულისხმობს ზუსტი ინსტიტუციური მონაცემების რეგულარულ შეკრებას, ანალიზსა და პროგნოზირებას საუნივერსიტეტო პროცესებისა და პროდუქტების შეფასების მიზნით (აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფისთვის ტექნიკური დავალება, ისევე, როგორც მონაცემთა ჩამონათვალი, ინდიკატორთა და ქვეინდიკატორთა სია მომზადებულია)	X	X		
პროცესებისა და პროცედურების შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ეტაპობრივად მონაცემების მოგროვება/ანალიზს და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებას და თვითშეფასებაზე დაყრდნობით პროცესების ეფექტიანობის გაზომვას (ირლანდიის უნივერსიტეტების მაგალითი)	X	X		
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფციის ახლებური გააზრება დებულების შესაბამისი ცვლილებებით და ფუნქციების გამიჯვნით	X	X		
გეგმიური თემატური კვლევების განხორციელება – სადოქტორო განათლების, პერსონალური განვითარების და სხვ. მიმართულებით (მასარიკის უნივერსიტეტის მაგალითი)	X	X	X	X
პროცესების ინტერნაციონალიზაციისა და დიგიტალიზაციის მხარდაჭერა	X	X	X	X

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 44/2022 10 მაისი 2022 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2022 წლის 14 აპრილის №8570/29 და 29 აპრილის №9668/29 წერილების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №7 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №3).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2022 წლის პირველი სექტემბრიდან.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის** აფილირებული **აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1200 ლარი.

„ბ“ კატეგორიის არააფილირებული **აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
ბ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ- პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 4500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2300 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ

საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ვ) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება, დისერტაციის დაცვის, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიების წევრობა.

N 10710/10
11/05/2022

10710-10-3-202205111714

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მაისის №44/2022 დადგენილებას.

დანართი: 7 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 30/2022 11 აპრილი 2022 წ.

"სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 28 მარტის №6967/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 აპრილის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს: ცენტრის უფროსს, აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებას.";

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის უფროსის მიერ თავის უფლება-მოვალეობათა შესრულების დროებით

შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს განყოფილების უფროსი.";

გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განყოფილების უფროსსა და ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.";

დ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობებია – ცენტრის უფროსი, განყოფილების უფროსი, ცენტრის მთავარი სპეციალისტი (მე-2 კატეგორიის), ცენტრის წამყვანი სპეციალისტი. ცენტრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცენტრის უფროსის წარდგინებით, შესაძლებელია მოწვეული თანამშრომლების ხელშეკრულებით მიღება.";

ე) ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 8665/10
15/04/2022

8665-10-3-202204151333

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 აპრილის №30/2022 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 7518/10 01/04/2022

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული ბიბლიოთეკის კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) ნულოვან სართულზე, გარე ჰოლის ნაწილის (2522 კვ.მეტრი ფართი), მულტიფუნქციური სივრცის (მცენარეების ლაბორატორია / ორანჟერეა / სამკითხველო / ლიტერატურული კაფე / წიგნების მაღაზია და სხვა) მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი.

აქვე გაცნობებთ, რომ დამატებით პირობად მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგი: აუქციონში გამარჯვებული პირი (მეიჯარე) ვალდებულია მეიჯარესთან შეთანხმებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განახორციელოს უძრავი ქონების რემონტი, ხოლო რემონტის დასრულებისას წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისა და მისი ღირებულების თაობაზე, რაც გახდება მოიჯარის მიერ გაწეული ხარჯის საიჯარო ქირიდან (თანაბარწილად თვეების მიხედვით) გამოქვითვის საფუძველი.

დანართი: 7 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail



შენობა №15/2; №16/8; №17/1; №18/1
III სართული
H საშ= 3.24 მ.

საერთო ფართი	**2678.11 კვ.მ;**
აქედან:	
შენობა №15/2	- - -
შენობა №16/8 (III სართული)	2678.11 კვ.მ;
შენობა №17/1	- - -
შენობა №18/1	- - -
მათ შორის:	
კიბის უჯრედი (1)	55.64 კვ.მ;
ლიფტშახტი (2)	353.30 კვ.მ;
ადმინისტრაცია (3)	205.10 კვ.მ;
წიგნთსაცავი (7)	1887.42 კვ.მ;
სს. წერტილი (15)	22.27 კვ.მ;
დამხმარე ფართ	154.38 კვ.მ;

- აუქციონზე გასატანი პერიმეტრი

შენობის შიდა აზომვითი ნახაზი მ 1:200					
დამკვეთი	სსიპ იუსტიციის სასახლეების სააღრიცხვო სააგენტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს		შპს "კადასტრი +"		
შენობის მისამართი	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №23ეიი 06/020, შენობა №15/1; №16/8; №17/1; №18/1 III სართული		დირექტორი		ჯ. ფლეკერიძე
			თარიღი		03.06 - 20.07. 2019

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 9258/10 21/04/2022

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 24 მარტის NMES 1 22 0000306373 კორესპონდენციაში, რომელსაც თან ახლავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 18 მარტის N01-01220773235 წერილი, დასმულია სახელმწიფო საკუთრებასა და უნივერისტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე 2631 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1; N2 საერთო ფართით 46.9კვ.მ და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვ.მ) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.095) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი, შემდგომში სარეკრეაციო სივრცის (სკვერის) მოწყობის მიზნით და მოთხოვნილია უნივერსიტეტის პოზიცია, წარმომადგენლობითი საბჭოს მოსაზრებასთან ერთად.

გაცნობებთ, რომ ხსენებულ უძრავ ქონებაზე განთავსებულია უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკას უკვე დაწყებული აქვს სამენიერო შემეცნებითი ბაღის გაშენება ბიბლიოთეკის მკითხვლთა და მიმდებარე მაცხოვრებლებისთვის, რის დასტურადაც წარმოდგენილი იქნა ტერიტორიის ლანდშაფტური განვითარების კონცეფცია.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ზემოხსენებული საკითხი და გვაცნობოთ საბჭოს მოსაზრება. საკითხის სრულფასოვნად განხილვის მიზნით, სასურველია საბჭოს წევრებს მკაფიოდ განემარტოთ უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის პოზიციის შესახებ.

დანართი: 5 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

გიორგი შამათავა

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 7728/10 05/04/2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის

ხელმძღანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

საქართველოს განათლებისა და მეცნერების სამინისტროს მიერ გამოგზავნლი წერილის MES 1 22 0000306373 (24/03/2022) რომელიც ეხება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 21 მარტის N5/15453 წერილს (სამინისტროში რეგისტრაციის N291395, 21/03/2022წ., რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (მიწის (ს/კ №01.10.13.040.095) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით, თაობაზე გაცნობებთ რომ თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე დაწყებული აქვს სამენიერო შემეცნებითი ბაღის გაშენება ბიბლიოთეკის მკითხვლთა და მიმდებარე მაცხოვრებლებისთვის ამ მიზნით:

1. თსუ ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ 2021წლის დეკემბერში საბიუჯეტო ხარჯებით (4900ლ) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მოამზადა ბაღის მოწყობის კონცეფცია. (დანართი 1)
2. მიმდინარე წელს კვლავ საბიუტეჯო სახსრებით (54450ლ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N56/06 მეშვეობით განხორციელდა სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”-ს 2021 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული #320704-02 ხელშეკრულებით (ორგანიზაციული კოდი 32 04 05) გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიწის (ეზოს) არსებითი გაუმჯობესების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა (CPV 71320000)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დასრულდება ივნისის პირველ ნახევარში. ამ დოკუმენტის საფუძველზე დავიწყებთ ბაღის გაშენებას. ავღნიშნავთ რომ ბაღის კონცეფცია არის გარემოსთან შესაბამისობაში, ეკოლოგიურად უსაფრთხოა და ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს.
თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მიესალმება ქ. თბილისის მერიის ინიციატივას და მზად არის მიმართოს ქ. თბილისის მერიას აღნიშნული ბაღის საპორექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრებთან ერთად თანადაფინანსების მისაღებად.

პატივისცემით,

ნინო პავლიაშვილი



დირექტორი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორიის ღანდშაფტური განვითარების კონცეფცია

კონცეფცია

რამოდენიმე წლის წინ გაჩნდა იდეა, თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის მოუწყობელი ტერიტორია გარდაიქმნას თანამედროვე ლანდშაფტურ მრავალფუნქციურ სივრცედ, რომელიც შექმნის პირობებს მკითხველისთვის მეტი დრო გაატაროს ბუნებაში, სუფთა ჰაერზე. პანდემიამ კი დაგვარწმუნა, რომ ესეთი სივრცის შექმნა აუცილებელია.

ბიბლიოთეკის პარკში ადამიანები შეძლებენ შეკრებას, (აუცილებლობის შემთხვევაში წესების დაცვით), მუშაობას, კითხვას, პრეზენტაციების ჩატარებას, გამოფენების მოწყობას.
„მწვანე ტექნოლოგიები“ და ეკოლოგიური მეთოდები, „ლანდშაფტური ურბანიზმი“ ეს ის მცნებებია, რომლებსაც ვეყრდნობით და მთავარ მიმართულებად მიგვაჩნია თანამედროვე ლანდშაფტის არქიტექტურაში. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტერიტორია, ჩვენი წარმოდგენით, გვაძლევს საშუალებას დავაგეგმაროთ საინტერესო სივრცე, რომელიც მდგრადი ლანდშაფტის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. ეს პრინციპები გულისხმობენ ეკოლოგიურ და ეკონომიურ მიდგომებს, ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, აღდენადი ენერგიის მენეჯმენტს.

სიტუაციური გეგმა

მოძრაობის ტრაექტორიები



ტერიტორიას გააჩნია ორი მთავარი შესასვლელი: ერთი-ერთი – უშუალოდ ბიბლიოთეკის შენობაში, მეორე ეზოში. არსებობს კიდევ სამი პერიფერიული მნიშვნელობის შემოსასვლელი. ერთერთი მოძრაობის მიმართულება კი გამქოლ ბილიკს წარმოადგენს. ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მოსახერხებელი იქნება უბნის ერთი ზონიდან მოკლე ტრაექტორიით მოხვდნენ მეორე ზონაში. მთავარ გზას, არსებული მდგომარეობით, არ აქვს გასასვლელი გარე ტერიტორიაზე. ამიტომ ვითვალისწინებთ ღობეში ჭიშკრის მოწყობას გზის ბოლოს, რათა საგანგებო შემთხვევებისთვის მანქანას ქონდეს საშუალება დატოვოს ტერიტორია შეუფერხებლად.

ფუნქციური ზონირება



- დასასვენებელი სივრცე-ბაღი
- საზაფხულო სამკითხველო, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო სივრცე
- ბავშვთა და მოზარდთა სივრცე
- საერთო სამუშაო სივრცე (co-working space) ადგილი შეკრებებისთვის, პრეზენტაციებისთვის.
- საზაფხულო კინოთეატრი
- კაფეტერია
- მეცნიერთა და გამომგონებელთა ბაღი
- ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სივრცე
- საგამოფენო სივრცე
- სათბური და ბოსტანი
- საწყობი

ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაეთმობა ბაღს, სადაც ყველა შემომსვლელი შეძლებს მოწყდეს ქალაქის სტრესს და თავი შეაფაროს ბუნებას, წაიკითხოს წიგნი ან უბრალოდ დაისვენოს. ბაღში შევეცდებით შევიტანოთ ველური ბუნების ესთეტიკა, გამოვიყენოთ დეკორატიული მარცვლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეები, მოყვავილე და მარადმწვანე ხე-ბუჩქები.

აქ განლაგებული იქნება მოსახერხებელი გარე სივრცის ავეჯი, დასაჯდომად და წამოსაწოლად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანებს შორის კომუნიკაციას ან განმარტოვებას, მედიტაციას.

დასასვენებელი სივრცე-ბალი



ფუნქციურად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზონა უკავია ღია სივრცეების სამკითხველოებს. მცირე არქიტექტურული ფორმებით წარმოდგენილი სამუშაო სივრცეები იქნება განკუთვნილი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. მათ სახურავზე მოეწყობა მზის პანელები. ისინი გამოიმუშავებენ საჭირო ენერგიას პარკის ღამის განათებისთვის და მობილური „გაჯეტების“ გამოყენებისათვის . პარკის ავეჯში ჩამონტაჟებული იქნება დამტენი და აუდიო წიგნების მოსასმენი საშუალებები. მთელ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია WiFi. ავეჯი იქნება მობილური და ტრანსფორმირებადი.

სამკვითხველო/ სამუშაო სივრცე



196

აქ განთავსებული იქნება ბოქსები , თაროები წიგნებით და სხვადასხვა ინვენტარით, მულტიმედიური პანელებით. ეს ზონა განკუთვნილია ბავშვების შემეცნებითი უნარების განსავითარებლად, გართობის მეშვეობით წიგნის სიყვარულის გასაღვივებლად.



ბავშვთა და მოზარდთა სივრცე

ტექნიკური დანიშნულების დიდ აუზს ახალი ფუნქცია მიენიჭება.აქ იქნება ადამიანების თავშეყრის ადგილი, სადაც საერთო საქმით გაერთიანებული დისკუსიის თუ პრეზენტაციის მონაწილეები კომფორტულად განლაგდებიან და ნაყოფიერად იმუშავებენ დღის სხვადასხვა მონაკვეთში. გათვალისწინებული იქნება ამფითეატრის მოწყობა მაყურებლებისთვის ან უბრალოდ მოსასვენებლად. ზაფხულის ან წლის თბილ პერიოდში, აქ შეიძლება მოეწყოს კინოჩვენებები, მცირე კონცერტები. გაშლილ სივრცეში, (აუცილებლობის შემთხვევაში) ყველა წესის დაცვით შესაძლებელი იქნება ბიბლიოთეკის ნებისმიერი ღონისძიების ჩატარება.



საერთო სამუშაო სივრცე/ საზაფხულო კინოთეატრი

ბიბლიოთეკის ბაღში მთელი დღით მოსულ სტუმარს შევუქმნით სასიამოვნო გამწვანებულ გარემოს, სადაც შეძლებს ყავა დალიოს ან წაიხემსოს და შემდეგ გააგრძელოს თავის აქტივობა.



კაფეტერია

მიეძღვნება ქართველ მეცნიერებს და გამომგონებლებს. აქ იქნება მათი თავშეყრის ადგილი, სამეცნიერო მიღწევების და გამოგონებების სადემონსტრაციო ინსტალაციების გამოფენა და ყველა დაინტერესებული ადამიანის მოზიდვის ადგილი. ეს მონაკვეთი სასწავლო, შემეცნებით-ექსპერიმენტული ზონაა (ბაზა სამეცნიერო კლუბებისთვის). აქვე მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებულთა კუთხეც იქნება განთავსებული.



მეცნიერთა და გამომგონებელთა ბალი

სივრცე, სადაც თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს შეეძლებათ დღის განმავლობაში დაისვენონ ან იმუშაონ ბუნების წიაღში. ეს სივრცე იქნება იზოლირებული სხვა ზონებისგან და იქ, მხოლოდ თანამშრომლებს შეეძლებათ შესვლა.



ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სივრცე

ამ მხარეს, ხეივნის გაგრძელებაზე მოსახერხებელია მოეწყოს გამოფენების, წიგნების ბაზრობების ან შემეცნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობის თუ კომერციული ღონისძიებების ზონა.



საგამოფენო სივრცე

Bean
Outsider

სათბურში ბოსტნეულის ჩითილების და ბაღის მცენარეების გამოყვანა-გამრავლება იქნება შესაძლებელი. იქვე შეიძლება განლაგდეს პატარა ბოსტანი, რომელსაც დეკორატიული დატვირთვაც ექნება. სათბური ორგანული ბოსტნეულით მოამარაგებდა კეფეტერიას და ასევე თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა ეკოლოგიური მიდგომისა და ბევრ დაინტერესებულ სტუმარს გააცნობდა ორგანული მეთოდის არსს ქალაქური ფერმერობის განხრით. მთელ მსოფლიოში „Urban farming"-ძალიან პოპულარული მიმდინარეობაა მდგრადი ლანდშაფტის ფარგლებში. სათბური და ბოსტანი გარკვეულ წილად ტრენინგებისა და ექპერიმენტებისთვისაც შეიძლება იყოს გამოყენებული.



სათბური და ბოსტანი

გარე სივრცის ავეჯი

ბაღში იქნება განლაგებული სხვადასხვა ტიპის წიგნების თაროები და კარადები. აქ სტუმრებს შეეძლებათ თავისუფლად ისარგებლონ ბიბლიოთეკის ლიტერატურით და მიიღონ კონსულტაციები ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან.

გზის გამჭოლი ზედაპირი

მთავარი საავტომობილო გზა, რომელიც გარს უვლის შენობას, სახანძრო უსაფრთხოების თვალსზრისით შენარჩუნებელი იქნება, ხოლო ასფალტის საფარი იქნება შეცვლილი გამჭოლი ზედაპირით, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტური მასალისგან დამზადებულ ჩარჩო-ბადეებს (gravel grid). ეს საფარი ქმნის მყარ, მაგრამ ნალექისთვის გამჭოლ ზედაპირს. ჩარჩოს თავისუფალი ადგილები ივსება ღორღით ან დათესილი მწვანე საფარით.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.13.040.095**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015411926 - 22/07/2015 14:57:17

მომზადების თარიღი
29/07/2015 12:19:35

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**13**	**040/095**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1/4 , (ნაკვ. 040/022)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2631.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.13.040.022;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 , N2 საერთო ფართობით 46.9 კვმ. და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვმ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013426023 , თარიღი 04/09/2013 14:48:40
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/09/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N7/23014 , დამოწმების თარიღი:24/04/2015 ,სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015411926 თარიღი 22/07/2015 14:57:17	**მოსარგებლე:** სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" 204864548; **მესაკუთრე:** სახელმწიფო; საგანი: 2631 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1, N2 საერთო ფართობით 46.9 კვმ. და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვმ.; არსებობის ვადით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/07/2015	**წერილი N5/42763, დამოწმების თარიღი14/07/2015, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩაჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აკკორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 22 0000306373

24/03/2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 21 მარტის N5/15453 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის N291395, 21/03/2022წ., რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა № 1/4-ში მდებარე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (მიწის (ს/კ №01.10.13.040.095) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით.

გთხოვთ, განიხილოთ შემოსული კორესპონდენცია და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია მითითებულ ქონებაზე სარგებლობის უფლების გაუქმებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, წარმოდგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს მოსაზრებასთან ერთად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01220773235**
თარიღი: **18/03/2022**
პინი: **1672**

ადრესატი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა N1/4-ში მდებარე 2631 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1; N2 საერთო ფართით 46.9კვ.მ და N3 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვ.მ) (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.095) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ, შემდგომში სარეკრეაციო სივრცის (სკვერის) მოწყობის მიზნით.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ N01.10.13.040.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მომავალში არ განიხილავს მითითებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობას, ვინაიდან, მიმდებარე არეალი წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩამოყალიბებულ განაშენიანებას, სადაც არ არის გათვალისწინებული სარეკრეაციო-საზოგადოებრივი პოტენციალის მქონე სივრცეები. შესაბამისად, N01.10.13.040.095 საკადასტრო ერთეულის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი